„მეუ“-ს წარმომადგენლებმა ქალაქ ბელაია ცერკოვში საკათედრო ტაძრის კარი შეამტვრიეს და ტაძარს დაეპატრონნენ

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 10.07.2023. 10 ივლისს, დაახლოებით დილის 6 საათზე, ქალაქ ბელაია ცერკოვის (უკრაინის კიევის ოლქი) ფერისცვალების საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე პირთა ჯგუფი შეიჭრა, კარი შეამტვრიეს და ტაძარს დაეპატრონნენ.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ინფორმაციისა და განათლების განყოფილების **ცნობით,** ბელოცერკოვის ეპარქიიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, თავდამსხმელებმა ჯერ ხის კარი შეამტვრიეს, შემდეგ კი რკინის კარს სამი საათის განმავლობაში ამტვრევდნენ. ეპარქიაში აცხადებენ, რომ მტვრევაში მონაწილეობას იღებდნენ „მეუ“-ს მხარდამჭერები. ტაძარზე თავდასხმას ხელმძღვანელობდა ამ სქიზმატური სტრუქტურის „კლირიკოსი“ ნიკოლოზ გოპაინიჩი, რომელიც ამადროულად დეპუტატია.

ტელეგრამ-არხი «Дозор на „Первом Казацком„» **იუწყება,** რომ სპორტული აღნაგობის ახალგაზრდებმა კარიბჭე გადაკეტეს და ფიზიკური ძალის გამოყენებით მრევლს არ უშვებდნენ ტაძრის ტერიტორიაზე. თვითმხილველებმა ასევე აღნიშნეს, რომ თავდასხმის დროს „მეუ"-ს წარმომადგენლებმა საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე ხელი მოტეხეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრს. ამ დროს პოლიცია ან უმოქმედო იყო, ან ტაძარში მისული მრევლის შეჩერებას ცდილობდა, რომლებიც იქ მაშინვე მივიდნენ, როგორც კი ტაძარზე თავდასხმის ამბავი შეიტყვეს.

დაახლოებით დილის 9 საათზე ნიკოლოზ გოპაინიჩმა გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც მან განაცხადა, რომ შედგა ფერისცვალების ტაძრის დაპატრონება.

ბელოცერკოვისა და ბოგუსლავის მიტროპოლიტმა ავგუსტინემ მომხდარს უკანონობა **უწოდა** და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მორწმუნეები უკან არ დაიხევენ და დაიცავენ თავიანთ სიწმინდეებს. მან იმედი გამოთქვა, რომ უფალი მოიხილავს მართლმადიდებელი ქრისტიანების სიმდაბლესა და ლოცვას და მადლობა აღუვლინა ღმერთს იმისთვის, რომ მათ „ცოტათი მაინც დაამოწმეს ეკლესიისადმი ერთგულება".

ეპარქია არ ეთანხმება საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებას ტაძრის „მეუ"-სთვის გადაცემის თაობაზე. საქმე ამჟამად სასამართლოში განიხილება. თუმცა, სქიზმატიკოსთა წარმომადგენლები არ დაელოდნენ სასამართლოს განაჩენს და ტაძარს ძალადობრივი გზით დაეპატრონნენ.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90515/